დასკვნა:**დ05. 37262363**
თარიღი:**24/08/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

კომისიამ იმსჯელა წარმოდგენილი დადგენილების პროექტზე და კომისიის შეფასებით, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებას, ეკონომიკური აქტივობის ზრდას, ახალი შესაძლებლობების შექმნას, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერასა და მუნიციპალიტეტში დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობას.

კომისიამ ასევე მიიჩნია, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების გაუმჯობესებას და შესაბამისი მუნიციპალური პროგრამის ეფექტიან განხორციელებას.

კომისიამ დაადგინა:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შემდგომი განხილვა.
2. დადგენილების პროექტი წარედგინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და

კანონმდებლობით გათვალისწინებული შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით.

3. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დადგენილების პროექტი გამოქვეყნდეს და დაინტერესებულ პირებს მიეცეთ შესაძლებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგინონ მოსაზრებები და შენიშვნები.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი